

**შრომა ალტერნატივის გარეშე
პრეკარიტი, როგორც თანამედროვე ანაზღაურებადი შრომა და მისი
მახასიათებლები**

გიგა კარაპეტიაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტის, სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ დალაქიშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისი, 2019

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

გიგა კარაპეტიანი, 2019

მადლობა

მადლობას ვუხდით კვლევის ხელმძღვანელს - მარიამ დალაქიშვილს გაწეული დახმარებისთვის; ერთის მხრივ, კვლევის მიზანთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზისთვის საჭირო თეორიული და ემპირიული მასალების მოძიებაში წვლილის შეტანისთვის და, მეორეს მხრივ, კვლევის მეთოდოლოგიის, დიზაინისა და მიდგომის შერჩევის განსაზღვრისთვის.

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევითი ნაშრომი პრეკარიატის, როგორც თანამედროვე ანაზღაურებადი შრომის ადგილობრივი გამოცდილებების შესწავლის მიზნის გარშემო კონცენტრირებული. პრეკარიული დასაქმების ტიპებიდან, სერვისის/მომსახურების სფერო შეირჩა, მისი ჭარბი რაოდენობის გამო. კვლევის მიზანთან დაკავშირებული მონაცემების მოძიება კვლევის თვისებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით მოხდა; ამასთანავე, კვლევა ტრანსფორმაციული დიზაინის, დაფუძნებული თეორიისა და დისკურსის კრიტიკული ანალიზით წარიმართა. აღნიშნული მიდგომების ნაზავმა მონაცემების ანალიზის ფორმაც განსაზღვრა; ერთის მხრივ, მკვლევარს საშუალება მისცა კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების კრიტიკული გაანალიზება საკითხთან დაკავშირებული თეორიული და ემპირიული ცოდნებით მომხდარიყო და, მეორეს მხრივ, მკვლევარს სუბიექტური პოზიციონირებისთვის საჭირო სივრცე დაუტოვა - იმ შედეგებზე დაყრდნობით, რომელიც არსებული ცოდნების, როგორც ამხსენელების მიღმა დარჩა, თეორიული დებატის განვითარების ბაზისი შექმნა. კვლევამ სერვისის სფეროს შესახებ შემდეგი მიგნებები გამოკვეთა: დაბალი ანაზღაურება, შრომით სივრცეში დასაქმებულთა მაღალი კვალიფიკაცია, ისეთ ბაზისურ საჭიროებებზე წვდომის პრობლემურობა, როგორც საცხოვრისი, კვება, ჯანდაცვისა და განათლების სერვისებია; ამასთანავე, კვლევის მიხედვით, ემოციური შრომა - პოზიტიური ემოციებისა და ემპათიის გამოხატვა მყიდველის მიმართ, სერვისის სფეროში დასაქმებულთა ვალდებულებას წარმოადგენს; აღსანიშნავია შრომითი და არაშრომითი დროითი კატეგორიების საკითხი, რომლის მიხედვითაც გრძელი სამუშაო დღე და აუნაზღაურებელი, ზეგანაკვეთური შრომის ვალდებულება დასაქმებულის არაშრომითი დროის დეფიციტზე აისახება; ინტერპერსონალური ურთიერთობების სიმცირე, შრომისგან გამოწვეული სტრესი, ემოციური დისბალანსი, რომელიც დასაქმებულთა ემოციური შრომისგან გამომდინარეობს მშრომელთა მდგომარეობის აღმწერი კონცეპტებია.

ძირითადი ტერმინები: შრომა, პრეკარიატი, ბაზისური საჭიროებები, ჩაგვრა, ემოციური შრომა, დრო და დროითი კატეგორიები.

Abstract

The research paper below is concentrated around the goal of examining precarity as a local experience of modern paid work. From the various types of precarious employment, the service sector was chosen, due to its abundance. The search for the appropriate data for the goal of the research was done by utilizing qualitative methodology. Furthermore, the research was carried out through the critical analysis of transformational design, grounded theory and discourse. The combination of the abovementioned approaches also determined the form of content analysis. On one hand, it allowed the researcher to critically analyze the data obtained through research by the appropriate theoretical and empirical knowledge; on the other hand, it left space for the researchers subjective positioning – based on those results, which were left behind the existing knowledge as the defining component - creating the basis for the development of theoretical debate. The research about the service sector shed light upon the following findings: low wages, high qualification of the employees in the workplace, the lack of access to such basic requirements as accommodation, food, healthcare and education; furthermore, according to the research, emotional labor – the expression of positive emotions and empathy towards customers – is one of the obligations for the employees in the service sector. The factor of labor and non-labor related time categories should be mentioned, according to which long workdays and mandatory unpaid overtime work result in the deficit of non-labor related time for the employees. Shortage of interpersonal relationships, work-related stress, emotional disbalance which stems from the emotional labor of the employees are the descriptive concepts for the condition of the workers.

Key terms: work, precarity, basic requirements, oppression, emotional labour, time and time categories.